

პარლამენტის მიერ მთავრობაზე საკანონმდებლო
უფლებამოსილების დელეგირების პრობლემა
ქართულ კონსტიტუციურ სისტემაში

ანა აფციაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართლის და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვახტანგ მენაბდე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარმოდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა აფციაური

05.07.2021

აბსტრაქტი

თანამედროვე მმართველი სახელმწიფოს წინაშე არსებული კრიზისები და გამოწვევები სწრაფ, მოქნილ ჩარევას საჭიროებს, რაც მნიშვნელოვნად ცვლის ხელისუფლების დანაწილების სტრუქტურას. პარლამენტში მიმდინარე რთულმა, ხანგრძლივმა საკანონმდებლო პროცესმა შესაძლოა ვერ უზრუნველყოს ეფექტიანი რეაგირება და კრიზისის დაძლევა. საფრთხეების შესამცირებლად, აუცილებელი ხდება საკანონმდებლო უფლებამოსილების მთავრობაზე დელეგირება. დელეგირების შედეგად მთავრობას საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების მოწესრიგების შესაძლებლობა ეძლევა. ამავდროულად, კაბინეტისთვის გადაცემული ფართო, დაუბალანსებელი კანონშემოქმედებითი კომპეტენციები არაპროპორციულად აძლიერებს აღმასრულებელ ხელისუფლებას და გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღების საფრთხეს ქმნის.

წინამდებარე ნაშრომი საქართველოს მაგალითზე შეისწავლის მთავრობაზე საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირების მიზნებს, ფარგლებს, პრაქტიკას, აგრეთვე, დელეგირებულ უფლებამოსილების აღსრულებაზე კონტროლის მექანიზმებს. კვლევა ცდილობს დაადგინოს მიმართება კანონშემოქმედებითი კომპეტენციების დელეგირებისა და ხელისუფლების დანაწილების სისტემაში მთავრობის ძალაუფლების ექსპანსიას შორის. საერთაშორისო პრაქტიკისა და ქართული კონტექსტის გათვალისწინებით, დოკუმენტი მიზნად ისახავს ისეთი მოდელის შემოთავაზებას, რომელიც შეზღუდავს აღმასრულებელი ხელისუფლების ჭარბ საკანონმდებლო უფლებამოსილებებს და გააუმჯობესებს დელეგირების პრაქტიკას.

საძიებო სიტყვები: დელეგირება, არადელეგირების დოქტრინა, სუბდელეგირება, ხელისუფლების დანაწილება, კონტროლი

Abstract

The crisis and challenges faced by the modern state require rapid, effective interventions, which significantly changes the structure of the separation of powers. Complex law-making process, comprises number of steps, might not be relevant solution to the crisis. On such occasions, delegation of legislative power might be the only option to reduce or minimalize the threats. In the delegation process, government has unique opportunity to address urgent needs of the public. Although, an imbalance of delegated authority, strengthens the executive branch and gives the government the power to make laws on its own.

The current research investigates the purposes, scopes, and objectives of the delegated legislation, as well as the legal mechanisms of control over government. The study seeks to show a strong correlation between the delegation of legislative power and the expansion of the executive power in the system of the separation of powers. As a result of analyzing good international practices and Georgian context, the document aims to establish a model, which will limit the powers of the government and improve the process of delegation.

Key words: delegation, nondelegation doctrine, sub-delegation, separation of power, control.